TBILQALAQPROEQTI
თბილქალაქპროექტი

ს/კ 404892069

სასაწყობო შენობის პროექტი

ქ. თბილისი, შუშის ქ. №38, ს/კ 01.11.04.017.142

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

დირექტორი:	ლ. ხუხაშვილი
მთ. არქიტექტ.	ლ. ხუხაშვილი
არქიტექტორი	ლ. ხუხაშვილი
შეასრულა	ბ. გოგოლაური



ქ. თბილისი 2022წ

შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი;

ბ/ კალენდარული გეგმა;

გ/ გრაფიკული ნაწილი:

ნახაზი მო-1----------სამშენებლო გენგეგმა;
ნახაზი მო-2----------სამონტაჟო სქემა.

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

სამშენებლო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, შუშის ქ№38, ს/კ 01.11.04.017.142. ტერიტორიის რელიეფი მცირე ქანობიანია. საპროექტო შენობა ერთ-ორსართულიანია ბრტყელი სახურავით, სარდაფის გარეშე. შენობა კონსტრუქციულად არის მონოლითური რკინაბეტონისაგან პემზობლოკის ან აგურის შევსებით. საძირკველი იქნება მონოლითური რკინაბეტონისაგან წერტილოვანი. ფასადები შეილესება. 0.00=432.50მ-ს. დღეისათვის პირველი რიგის სამუშაოები შესრულებულია.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--მიწის ნაკვეთის ფართობი----------4890.00მ^2;
--საერთო ფართობი----------4054.40მ^2;
--სამშენებლო მოცულობა----------29488.00მ^3;
--შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე----------9.70მ

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ფენები:
--ფენა №1 – ნაყარი გრუნტი გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე პირველი ფენის სახით. დაფარულია კორდით. წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების ჩანართებით.
--ფენა №2 – თიხა გავრცელებულია მთელ უბანზე 1.5 – 3.0 მ. სიღრმიდან. წარმოდგენილია მოყვითალო და ნაცრისფერი თიხებით, დაფიქსირებულია ხვინჭა და ცალკეული კენჭების არსებობა, ვიზუალურად ფენა რბილპლასტიკურია.
გრუნტის წყალი არ დაფიქსირდა.
სამშენებლო უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას.

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად. ანალოგი გვ 470, პ.23 T=12.00 თვე, სადაც 2.00---მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. გვ 2, პ11-ის მიხედვით T=12.00+3.00=15.00 თვე. გვ 4, პ.17-ის მიხედვით T=15.00x1.15=18.00 თვე. დამკვეთის სურვილის თანახმად მშენებლობის ხანგრძლივობა დარჩენილ სამუშაოებზე მიღებულია **24.00 თვე.**

მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოებია შესრულებულია.

3. გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით. დამუშავებული გრუნტი მთლიან მოცულობაში უნდა იქნას დატვირტული და გატანილი. გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა მოხდეს ხელით და ბულდოზერით. სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოხდეს არსებული მიწისქვეშა ქსელების ადგილმდებარეობის დაზუსტება. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი გადატანა ან გაუქმება /იხ. ნახაზი მო-1/.
გრუნტის დამუშავება მოხდეს СНиП-III-4-80, ცხრ№4-ის თანახმად.
დამუშავების სიღრმე 1.5მ-მდე, გრუნტი დამუშავდეს:
--ნაყარი 1:0.67;
--თიხა 1:0.

გრუნტის დამუშავების სიძნელის მიხედვით:
--ნაყარი გრუნტი----------ხელით დამუშავებისას ---1 ჯგუფი, ბულდოზერით და ექსკავატორით---2 ჯგუფი;
--თიხა----------ექსკავატორით და ხელით –3 ჯგუფი, ბულდოზერით—2 ჯგუფი.

4. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას ბეტონის ტუმბო **Putzmeister M63-5**-ს და საავტომობილო ამწე **KATO SL 650R** -ის საშუალებით. ბეტონის ტუმბოს დახმარებით მოხდება ბეტონის ნარევის მიწოდება და საავტომობილო ამწის დახმარებით-------- სამშენებლო მასალების მიწოდება. მექანიზმების მოძრაობა უნდა მოხდეს “7” ღერძების გასწვრივ.

დარჩენილი სამუშაოების განხორციელების რიგი და ეტაპები:

მშენებლობის მეორე რიგი:

--მესამე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები, შენობა--ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე----------**210 დღე;**

--მეოთხე ეტაპი----------ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან, შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------**270 დღე;**

--მეხუთე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა-----------**90 დღე;**

--მეექვსე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები, ტექნიკური დანიშნულების ობიექტების მშენებლობა, მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------**150 დღე.**

5. უსაფრთხოების ტექნიკა

ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:

კანონი “გარემოს დაცვის შესახებ” 1996წ განსაზღვრას იმ ზოგად მოთხოვნებას , რომელიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.

კანონი “წყლის შესახებ” 1997წ შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაძვრავს წყლის აღებისა და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.

კანონი “ატმოსფერული ჰაერის შესახებ” 1997წ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებითი მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.

კანონი “ მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ” 1998წ მოიცავს მავნე ნივთირების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის ტუმბოების საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

7. ყველა სამუშაოს განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62 დადგენილების – “მშენებლობის უსაფრთხოების წესები”-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

Putzmeister M63-5-ის ტექნიკური დახასიათება

1 მოცულობა----------60.00მ³/სთ
2 აწევის სიმაღლე----------62.10მ
3 შვერა----------58.10მ
4 წნევა----------85ბარ

KATO SL 650R –ის ტექნიკური დახასიათება

1. მაქსიმალური ტვირთამწეობა----------65.00ტნ
2. ისრის სიგრძე----------44.50მ
3. ბატიტელის სიგრძე----------8.30-13.20მ
4. მაქსიმალური აწევის სიმაღლე----------45.50მ
5. აწევის სიმაღლე ბატიტელით----------58.60მ
6. დახრის კუთხე----------7^0-60^0

ყურადღება!!! ნებისმიერი მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.

ბ/ კალენდარული გეგმა 24.0 თვე

| № ეტ. | მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები | დღე | თვეები | | |



შენიშვნა: ბეტონის ტუმბოს მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად

ვიზუალიზაცია:	შენიშვნა:	დამკვეთი: client company — შ.პ.ს. სონინბა ჯორჯია 400108744	მისამართი: Address	საპროექტო ორგანიზაცია: Company name	გვერდის დასახელება
	ზომები მოცემულია სანტიმეტრებში. ნიშნულები მოცემულია მეტრებში. 0.00=+431.70	პროექტის დასახელება: Job Title — სასაწყობო შენობის პროექტი	ქ.თბილისი, შუშის ქ.N38; ს/კ 01.11.04.017.142	TBILQALAQPROEQTI თბილქალაქპროექტი ს/კ 404892069	სამონტაჟო სქემა
		პროექტის აღწერა: Project Description — მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი			

	სახელი	ხელმოწერა
დირექტორი:	ლ. ხუხაშვილი	
მთ. არქიტექტ.	ლ. ხუხაშვილი	
არქიტექტორი	ლ. ხუხაშვილი	
შემსრულა	ა. გოგოლაური	

მასშტაბი Drawing Scale	1:300	ფურცლის ზომა A3
თარიღი Date	28.06.2022	
პროექტის სტატუსი Project Status	გვერდი Page	გვერდების რაოდენობა Pages
საპროექტო	მო-2	2



ექსპლიკაცია

1 საპროექტო შენობა
2 საპროექტო სახანძრო რეზერვუარი
3 სათადარიგო გენერატორის ადგილი
4 ბეტონის ტუმბო
5 დროებითი ღია სასაწყობო
6 დროებითი ღობე
7 დროებითი ბიშკარი–2 ცალი
8 სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი"
9 დროებითი კვების "ოთახი"
10 დროებითი საარმატურო
11 დროებითი ბიოტუალეტი
12 დროებითი საყარაულო

პირობითი აღნიშვნები

-საპროექტო შენობა
-დროებითი "ნაგებობა"
-დროებითი ღობე

პროექტი		client company: შ.პ.ს. სოფლის ეკონომიკის 406036744	Address: ქალაქი, ულიც ქორ ს/კ 01.11.04.017.142
	ზედნადები: ზედნადები მოცულობის საანგარიშო. ზედნადები მოცულობა მინაშენი. 0.00=+431.70	Job Title: საწარმოო შენობის პროექტი	
		Project Description: მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი	

პროექტის ხელმძღვანელი	ს. ხუციშვილი	
მთ. არქიტექტორი	ს. ხუციშვილი	
არქიტექტორი	ს. ხუციშვილი	
შემსრულებელი	გ. ბერიტაშვილი	

Company name: TBILOALOPROEKTI
ს/კ 404892069

საწარმოო ბაზისთვის

Drawing Scale	1:750	ფორმატის ზომა A3
Date	28.06.2022	
Project Status	Page	Pages
საწარმოო	ერთ-ი	2